გვემავლიერად, ურთიერ-თმე-თანხმებულად და მიზან-მიმართულად მუშაობს სკოლა-ლიცეუმის ხუთივე კათედრა: ქართული ენისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა (ხელმძღვანელი - **ლია გიგიტაშვილი**), მათემატიკისა და ზოგადი მეცნიერებისა (**ნანული ბებია**); ესთეტიკისა და სპორტისა (**ნინო დაშვილი**); დაწყებითი კლასებისა (**ირმა ელისბარაშვილი**); უცხო ენებისა (**ლია გრძელიშვილი**). სწორედ ასეთი მუშაობით მიიღწევა წარმატება.

საბჭოთა ხანს თავში გვიჭედვდნენ, ისტორიის წარმართველი მასააო. ყოველდ მიჩქმალული, მიგდებული იყო პიროვნების როლი. არადა, სწორედ ისტორია ამტკიცებს პირუტყვს. ცხადია, ძალზე ბევრია დამოკიდებული ხელმძღვანელზე და სკოლა-ლიცეუმ NK-ს განათლების დარგის ამაგდარი, ღვაწლმოსილი პიროვნება, ბატონი **ნუგზარ ყენია** უდგას სათავეში. მან 1982 წელს დაამთავრა დედაუნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე. 1988 წელს დაინიშნა თბილისის 47-ე საშუალო სკოლის დირექტორად და ამ პოსტზე 20 წელიწადი დაჰყო. ე. ი. როგორ უდირექტორია? მეტიც - 1996 წელს, პარალელურად, ეს სკოლა-ლიცეუმი დააარსა და აქაც როგორ დირექტორობს ეს მცირე წერილიც ადასტურებს.

მაშ, შესაძლებელი ყოფილა ორი კურდღლის დაჭერა. დირექტორს მხარში უდგას, კოლეგებთან



მარიამ ხაბიაშვილი-ბურბენიძე

როცა საქმეს პროფესიონალები აკეთებენ



სკოლას ნამდვილად ნიჭიერი, თბილი, შრომისმოყვარე, კადრების შერჩევის დიდოსტატი ქალბატონი ნინო გერგიძე უდგას სათავეში. მან სკოლა ერთგული, დაუღალავი ენერჯის მქონე არაჩვეულებრივად ამინთან დავით რიჟაბაძისთან ერთად დააარსა.

ნინო გერგიძე: „იმ ხანად ძალზე უჭირდა ქვეყანას, სკოლას; სასწავლო პროცესს ბევრი პრობლემა ახლდა; შესუსტებული იყო სწავლების ხარისხი... და დამებადა იდეა, შემექმნა რაიმე ახალი, იქნებ, განსაკუთრებულიც, რაშიც მოიაზრებოდა სიახლეები სწავლებაში, სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, ბავშვებისათვის საინტერესო, ხალისიანი, ამასთანავე, მყუდრო გარემოს შექმნა... უსაზღვრო სურვილი მქონდა ჩემივე სკოლა აღსავსე ყოფილიყო ბავშვებით



დიდი სიყვარულითა და სითბოთი. იმდენად დიდი იყო ჩემი სურვილი, რომ ჩემმა მეუღლემ, დათომ გული არ დამწყვიტა, გვერდში ამომიდგა. სიყვარული ხომ ყოველის შემძლეა... მაშინ სამი წლის სანდროსა და ათი თვის გიორგის მშობლები ვიყავით. ჩვენ ხომ საქართველოს ღირსეული მომავალი უნდა გავგებარდა, ამი-

ტომ დავარქვით სკოლას „ივერია“. მალე სკოლის ჰიმნიც შეიქმნა. იგი ჩვენმა ყოფილმა პედაგოგმა, საბავშვო მწერალმა ქალბატონმა ციალა ამბოკაძემ შექმნა: „ჩვენ საქართველოს მომავლი ვართ და „ივერია“ გვქვია!“

ნატო ცუცქერიძე დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში. ის 23 წლის იყო, როცა სკოლაში მოვიდა. ნატო კვალიფიციური მასწავლებელი, შესანიშნავი ფილოლოგი და მნიშვნელოვანი პიროვნებაა სკოლისთვის. ეს შესანიშნავი ადამიანი ყოველთვის მხარში უდგას, ამშვენებს და აძლიერებს სკოლა „ივერიას“.

სკოლას ჰყავს დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგშიც – მია ნიკოლიძე, უნიჭიერესი მათემატიკოსი, რომელიც უკვე 20 წელია ჩართულია სკოლის საქმიანობაში და ზრუნავს მისი განვითარებისთვის.

სკოლაში თბილი და კეთილი გარემოა. აქ საუკეთესო და ნიჭიერი მასწავლებლები მუშაობენ.

აუცილებლად აღსანიშნავია ციური ქენქაძის ღვანლი. ის სკოლის მუსიკის მასწავლებელია და სკოლის დაარსებიდანვე მუშაობს იქ. იგი უამრავი ღონისძიების ავტორია. მისი შექმნილია სკოლის ჰიმნის მუსიკაც. ეს ნიჭიერი ქალბატონი და მისი მეუღლე უშანგ (უტო) ჭელიძე სკოლის ერთგული ადამიანები არიან, დღესაც გვერდში უდგანან და აძლიერებენ.

ამ სკოლაში დაიწყო პედაგოგიური კარიერა ჩვენმა ფილოლოგებმა: მაკა ჭიჭინაძემ და ნონა ვერულაშვილმა. ისინი სკოლის გამოცდილი წამყვანი პედაგოგები არიან.

ასევე გამოირჩევიან: ქეთი მაჩიტაძე (გერმანული ენა), ლია ქისტაური (ბიოლოგია, ქიმია), ეკა შილაკაძე (ინგლისური ენა), ქეთი თალაკვაძე (რუსული), მანანა ოკინაშვილი და თამთა შენგელია (ინგლისური ენა), პროფესორი გელა ძამუკაშვილი (ფიზიკა).

სკოლის კოლექტივს ალამაზებს აერობიკისა და ტანვარჯიშის მასწავლებელი ნინო ჩადუნელი. რეჟისორი იპოლიტე გაფრინდაშვილი კი სკოლის მუდმივი მხარდამჭერია.

სკოლას დაწყებითი კლასების არაჩვეულებრივი მასწავლებლები,

ბავშვებზე უსაზღვროდ შეყვარებული კესო ფიფია და ირმა ნაცვლიშვილი ჰყავს.


ნელს კი სკოლას ახალი მასწავლებლები შეემატნენ: მარია მათეშვილი (მათემატიკა), ნათია ბატაშვილი (ქიმია), ელენე ტეფნაძე (გეოგრაფია), ქეთი გორგასლიძე (სამოქალაქო განათლება), ნატალი ხადური (დანებიერობა), ელენე პატაშური (ხელოვნება), თეო ოძელაშვილი (ხატვა), ზურაბ ბოკუჩავა (ჭადრაკი), კახა ფაჩუაშვილი და გიორგი შეროზია (ისტორია), მია ლობჯანიძე (მეტყველება).

23 წელი სკოლა „ივერიას“ ჰყავდა დიდებული დამფუძნებელი და-



ვით რიჟაბაძე. ის ყველას უყვარდა და აფასებდა. დიდა მისი ღვანლი მოსწავლეებში ქართული კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზებაში.

ნინო გერგიძე: მისი გარდაცვალების შემდეგ ძალიან გამიჭირდა. გამიჭირდა იმ საქმის გაგრძელება, რომელიც ჩვენი დიდი სიყვარულის და ურთიერთპატივისცემის შედეგად 1997 წელს დაიწყო. ძნელია ცხოვრება იმ ადამიანის გარეშე, რომელიც ძალიან გიყვარს და გაკლია, ეს სევდა მუდმივია და მონატრებაც თანმდევი.



მისი გარდაცვალების შემდეგ სკოლა „ივერია“ გახდა დავით რიჟაბაძის სახელობის.

ახლა სკოლაზე, მის წარმატებაზე მამის სახელსა და მის უკვდავო ფაქტზე, ჩემთან ერთად, ჩვენი სამი ვაჟი ზრუნავს: ალექსანდრე, გიორგი და ნიკოლოზი. ისინი საკუთარი ახალგაზრდული შეხედულებებით ნერგავენ მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარების თანამედროვე მიდგომებს, მათი მიზანი მშობლების დაწყებული საქმის მოდერნიზება და იგივე მისით და მიზნებით საქართველოს მომავალზე ზრუნვაა.


ამავე, სკოლის III კლასის მოსწავლე პატარა დავით რიჟაბაძე, ბაბუს მოსახლე და იმედი. მას ბაბუსათვის უყვარს ცეკვა და ხელოვნება.

დავითის გარდაცვალების შემდეგ, მთელი კოლექტივი, ოჯახი, რომელსაც „ივერია“ ჰქვია კიდევ უფრო გაერთიანდა. ყველა მხარში მიდგას, რადგან ოცნება, რომელიც დათომ ამისრულა - „ივერია“ - კიდევ უფრო გაბრწყინდეს და გაძლიერდეს.

სკოლაში 200-მდე ბავშვი სწავლობს; გვაქვს თბილი გარემო, მიღწევები ყველა სფეროში. ერთად ვზრუნავთ სკოლის პრესტიჟზეც და საკუთარ ავტორიტეტზეც. ეს კი საერთო წარმატების მომტანია.

მოსწავლეებს ვასწავლით ოცნებას, შემდეგ ოცნების მიზნად გარდაქმნასა და მის ხორცშესხმას.

ბიოგრაფიიდან: ნინო გერგიძე დაიბადა 1969 წელს; 1986 წელს დაამთავრა თბილისის 61-ე საშუალო სკოლა. 1993 წელს კი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილი-



სის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი წარჩინებით, 1996 წელს - ასპირანტურა.

სტუდენტობისას 1993-1998 წლებში მუშაობდა 61-ე საშუალო სკოლაში, 1995-1996 წლებში გიმნაზიაში, 1997 წლიდან კერძო მრავალპროფილიანი სკოლა „ივერის“ დირექტორია.

აი, ასეთი სითბო, ასეთი სიყვარული, პატივისცემა და წარმატებები იქ, სადაც საქმეს პროფესიონალები აკეთებენ.

მარია მათეშვილი-ბურბანიძე

202-ე ბაგა-ბაღი

სახალხო სამზადისმა პატარები ბაახალისა



„ახალი წლის სიხარულს რა შეედრება, სითბო და სიკეთე დაგვებუდება?... - ერთი ცნობილი სიმღერისა არ იყოს, ყოველი ახალი წელი, მართლაც რომ ჯადოსნურ შეგრძნებებთან ასოცირდება, დიდი ოპტიმიზმის მომცემია და გვაქვს განცდა, რომ მომავალი წელი გასულ წელზე უკეთესი იქნება. მისი მოზრდნება კი, განსაკუთრებით ბავშვებს ახარებთ, ახალი წელი ხომ პატარების დღესასწაულია.

დიდი საახალწლო სამზადისა საბავშვო დაწესებულებებში, განსაკუთრებით კი 202-ე ბაგა-ბაღში,

სადაც შენობის ფოიეს ულამაზესი ნაძვის ხე და გირლიანდებით მორთული ინტერიერი ამშვენებს. აღსაზრდელების საახალწლო განწყობაზე საგულდაგულოდ იზრუნა ბაგა-ბაღის დირექტორმა ლალი ოთარაშვილმა და მთელმა შემოქმედებითმა გუნდმა. თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელშეწყობით კი, პატარებს საახალწლო ნუგბართი და საჩუქრებით გაახარებენ.

ლალი ოთარაშვილი: 202-ე ბაგა-ბაღის მთავარი საფიქრალ-საზრუნავი აღსაზრდელების კეთილდღეობა და მათთვის კომფორტული

გარემოს შექმნა. ახალი სასწავლო წლისთვის მორთო და გალამაზა ეზო, შენობა და ჯგუფები. მონეული გვყავდა ანიმატორები, რომლებიც ჭიშკართან ეგებებოდნენ აღსაზრდელებსა და მშობლებს. იმდენად მრავალფეროვანი და საინტერესო აღმოჩნდა მათი პროგრამა აღსაზრდელებისათვის, რომ დღის ბოლოს გასვლა აღარ სურდათ ეზოდან. რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, მის მოწესრიგებაზე დიდი ხანია ვზრუნავთ. გვაქვს თანამედროვე ატრაქციონები, ეზოს სათამაშოები, ლია ვერანდები და ფანჯარული, რომლის განახლება სისტემატურად მიმდინარეობს. თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტოს თანადგომით, ჩატარდა სარემონტო სამუშაოები და ბალი აღიჭურვა მეთოდური სახელმძღვანელოებით, საკანცელაროო ნივთები და სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებებით. საბავშვო ბაღში შემუშავდა ახალი სამოქმედო პროგრამები და ადრეული განათლების კურიკულუმი - თამაში (I-II ნაწილი); წარმატებით ხორციელდება სას-



წავლო-სააღმზრდელო პროცესი და „სასკოლო მზაობის“ პროგრამა. ბაგა-ბაღმა, შესანიშნავად გაიარა ავტორიზაციის პირველი ეტაპი და დადებითი შეფასება მიიღო. ამჟამად, საბავშვო ბაღში სულ 300 აღსაზრდელია.

202-ე ბაგა-ბაღში, აღსაზრდელების შემოქმედებითი უნარების განვითარებას დიდი ყურადღება ექცევა და მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული, რაც დირექტორის ლალი ოთარაშვილის დამსახურებაა. იგი 40 წელია წარმატებით ხელმძღვანელობს ბაგა-ბაღს. ამ ხნის მანძილ-

ზე, არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა და მრავალთაობას გაუნათა გზა ბედნიერი მომავლისაკენ. ბაგა-ბაღი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით, ერთ მუშტად შეკრული კოლექტივია და მუშაობენ გუნდური პრინციპით, რაც დიდი წარმატების საწინდარია.

დირექტორის დამსახურებას არ ივიწყებენ მადლიერი თანამშრომლები და აღნიშნავენ, რომ

გავრცელება მე-9 გვ.

სახალხო სამზადისა პატარები ბაბულისა

მერვე გვერდიდან

ქალბატონი ლალისთვის, როგორც ხელმძღვანელისთვის, ყოველი ახალი სასწავლო წელი არის შემოქმედებითი იდეების, ახალი გამოწვევების და დასახული ამოცანებისათვის განხორციელების ტრამპლინი. ღვაწლმოსილი დირექტორის გამოცდილებას, მეთოდურობას, იდეებს და რჩევებს არაერთი სააღმზრდელო დაწესებულება იყენებს.

ქალბატონი ლალი კმაყოფილია მისი მოადგილის **ნინო ბერიძის** საქმიანობით, რომელიც თავდაუზოგავად შრომობს და ყოველ კუთხე-კუთხულს აღამაზებს. სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს უძღვება ბაბა-ბაბაში გამოცდილი

და აქტიურად იყენებენ სააღმზრდელო პროცესში. ქალბატონი ქეთევანი მუდამ მზადაა, უშურველად გაუწიოს ყველას კონსულტაცია და დაეხმაროს სიახლეების დანერგვაში.

საგულისხმოა, რომ 202-ე ბაბა-ბაბაში ზედმიწევნით დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური წესები, რომელიც სისტემატურად მონმდება სურსათის ეროვნული სააგენტოს და „ჰასპის“ პროგრამის ფარგლებში. ბაბაში დაკისრებულ მოვალეობას შესანიშნავად უძღვება სან-ჰიგიენის კოორდინატორი **თამარ დალაქიშვილი**. ასევე, აღსანიშნავია სამეურნეო ნაწილის კოორდინატორის **მაკა სანაიას** ღვაწლი, რომელიც დიდი აქტიურობით და შემართებით აგვარებს ყველა საჭირობო ტექნიკურ

მენტაციას, საპასუხისმგებლო მასალებს მონდომებით აწარმოებს ბაბა-ბაბის საქმეთამართველი **თამარ მოსიძე**.

ბაბა-ბაბი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური და გამოცდილი აღმზრდელებით, ესენია: **ცისანა დათუნაშვილი, ჟუჟუნა ვარდოსანიძე, მარინე ორველაშვილი, მანანა ლებანიძე, სვეტლანა არუთინიანი, ნინო ნავროზაშვილი, ნანა გელენიძე, ნანა რიყაშვილი, თამარ ნათობიძე, მადლენა ბოგვერაძე, ნინო გელდიანიშვილი და ოლიკო ბერძენიშვილი**. მათ გვერდით უდგანან თანაშემწეები: **რეგინა კახაროვა, შუქია არღვლიანი, ლელა სიახუაშვილი, ლილი გრძელიძე, თინა გიორგაშვილი, ნანა კოშაძე, ლამარა დათუნაშვილი, ანაიდა ბალიანიცი და ქეთევან ჩინჩაძე**. სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში ჩართულნი არიან პროფესიონალი და სერთიფიცირებული სპეციალისტები: ფსიქოლოგი **მაკა ბაქრაძე**, ლოგოპედი **ნინო ჩიჩუა** და სპეც. პედაგოგი **მაკა ლევიძე**, რომლებიც აღმზრდელებთან ერთად შესანიშნავად იყენებენ „ჰასპის“ პროგრამის დებულებებს.

ბაბა-ბაბაში ხშირად იმართება შემოქმედებითი აქტივობები სეზონური ზეიმები. სისტემატურად ისმის მუსიკის მხიარული ჰანგები, რაც მუსიკის მასწავლებლების - **ნატო მულაიასა და ბელა კამლაძის** დამსახურებაა. პატარებისათვის ცეკვა ნამდვილი ბედნიერებაა, რაც მათ ძალიან ამხიარულებს და ქორეოგრაფ **მარიამ მამალაძესთან** ერთად, ყოველ ახალ ილეთს მონდომებით ასრულებენ. აღსაზ-



რდელების კვებაზე ზრუნავენ სერთიფიცირებული მზარეულები: **ჯულიეტა მამალაძე, ნათია ოთარაშვილი და მზია გვილია**.

ქებას იმსახურებს ბაბა-ბაბის ტექნიკური პერსონალი: **ნინო კოდიანიშვილი, ეთერ დვალიშვილი, ეკატერინე გოგინაშვილი, რუსუდან ჯიმშელაძე, მაკა ხომასურიძე, ჟუჟუნა ტვილიანი და თალიკო დაუთაშვილი**.

ლალი ოთარაშვილი: შეიძლება ითქვას, შემოქმედებითი ღონისძიებებით მდიდარია ჩვენი ბაბა-ბაბი. ამ მხრივ, ყოველ წელს ახალ გეგმებს ვახორციელებთ. მოვანყვეთ სამემოდგომო კუთხეები, ჩავატარებთ სხვადასხვა აქტივობას შიდა სივრცეებსა თუ ეზოში; მშობელთათვის მოვწყო აღსაზრდელო ნამუშევრებისა და პროექტების გამოფენა და გამართა მხიარული შეჯიბრებები. ამჟამად, მიმდინარეობს ზამთრის სეზონთან დაკავშირებით გამოფენებისა და პროექტების მომზადება თემაზე „**ზამთარია, ზამთარია!**“ სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში მშობლები აქტიურად არიან ჩართულები, ამ მხრივ ნამდვილად გამოვიჩინეთ. ისინი ხშირად ეხმარებიან ჯგუფებს, გვთავაზობენ ახალ იდეებს, რომლებიც მათი შვილების ცხოვრებას უფრო მრავალფეროვანს ხდის. ადრეული სკოლამდელი განათლება ყველაზე საპასუხისმგებლო ეტაპია განათლების სისტემაში, მისი სრულყოფილი განხორციელება ბედნიერი მომავალი თაობის აღზრდის საფუძველია. ამიტომ, მუდამ უნდა ვიზრუნოთ ამ პროცესის სრულყოფისთვის. მისასალმებელია, რომ სახელმწიფოს ხელშეწყობით აშენდა, გარემონტდა და აღდა ბაბა-ბაბები, რომლებმაც ჯგუფებში საგრძნობლად განტვირთა აღსაზრდელო რაოდენობა, რაც ერთ-ერთი მთავარი პირობაა ავტორიზაციის პროცესისათვის.

მზია გვილია: სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში მშობლები აქტიურად არიან ჩართულები, ამ მხრივ ნამდვილად გამოვიჩინეთ. ისინი ხშირად ეხმარებიან ჯგუფებს, გვთავაზობენ ახალ იდეებს, რომლებიც მათი შვილების ცხოვრებას უფრო მრავალფეროვანს ხდის. ადრეული სკოლამდელი განათლება ყველაზე საპასუხისმგებლო ეტაპია განათლების სისტემაში, მისი სრულყოფილი განხორციელება ბედნიერი მომავალი თაობის აღზრდის საფუძველია. ამიტომ, მუდამ უნდა ვიზრუნოთ ამ პროცესის სრულყოფისთვის. მისასალმებელია, რომ სახელმწიფოს ხელშეწყობით აშენდა, გარემონტდა და აღდა ბაბა-ბაბები, რომლებმაც ჯგუფებში საგრძნობლად განტვირთა აღსაზრდელო რაოდენობა, რაც ერთ-ერთი მთავარი პირობაა ავტორიზაციის პროცესისათვის.

მზია გვილია



საგამანათლებლო პროგრამების კოორდინატორი **ქეთევან ფერაძე**, მის მიერ გადამზადებული აღმზრდელები და თანაშემწეები კარგად ფლობენ ახალ მოთხოვნებს


საკითხს, დროულად უზრუნველყოფს საბავშვო ბაღს ყველა მატერიალური, სამეურნეო, სან-ჰიგიენური და სხვა აუცილებელი მასალებით. ბაღის საქმიან დოკუ-

წერილი თამაზ ქვლივიძეს

გამარჯობა, ბატონო თამაზ, კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა. დიდი მადლობელი ვარ ნიგნის გამოგზავნისათვის. კარგი გვარიანი შრომა ჩაგვიტოვა, ყველგან ოჯახის რელიქვია უნდა იყოს თქვენი ნიგნი, რომ თაობებმა ნაიკითხონ და გაითავისონ. გაიგონ გაჭირვების და შრომის ფასი. თქვენი „**წუთისოფლის ნიგნი**“ სამაგიდო ნიგნი უნდა იყოს ყველა ოჯახისთვის და ქართველისთვის, როდესაც კითხვა დავინყე ჩემი გაჭირვებული ბავშვობა გამახსენდა და თვალზე ცრემლი არ შემშრობია, კითხვა მიჭირდა. სადილობა არ გამხსენებია, ძალიან დამიძიმდა გული და მთელი ღამე არ მძინებია. მამა ადრე და დედა ხუთი წლის ვიყავი როდესაც გარდაემცვალა. მზრდიდნენ მოხუცი ბებია და ბაბუა. სკოლაში ხუთებზე ვსწავლობდი, ისეთი ნიჭიერი ვიყავი, ნიჭის წყალობით ყველა ხელობას ვფლობდი. მიუხედავად კარგი სწავლისა, ხულოგნობის გამო, სამი სკოლიდან ვარ გამორიცხული. სამი წლის მანძილზე ხუთ კილომეტრზე ვიარე და საშუალო ისე დავამთავრე ბალდათში.

მა ჩაიარა, სადაც გამოცდები მიმდინარეობდა, ავტოტექნიკუმი იყო და ის დავამთავრე. თან სახლს ვაშენებდი. ავაშენე და მოვანყე ჩემი ხელით. ჩამოვიყვანე ჩემი ძმა ადიგენიდან ცოლ-შვილით და შევასახლე. სახლი, ჭურ-მარანი, ვენახი, ყველაფერი დავახვედრე, ხლო ჩემთვის, ისე გარდაიცვალა, არაფერი გაუკეთებია. იქაურობა კი განადგურდა. 30 წელი ვიმუშავე ქუთაისის ელექტრომექანიკურ ქარხანაში. დავინყე მუშიდან და გავხდი საამქროს უფროსი. შემდეგ დაიხურა ქარხანა. ვმუშაობდი სხვადასხვა ხელობაზე. კარ-ფანჯრების კეთება, განმენდა, ბლოკი, აგური, ქვა, მალიარობა, პლიტების დაგება. ეხლა პენსიაში ვარ და აქვე, ჩემს ეზოში ვაკეთებ სკვერებს. ორი გავაკეთე, მესამეს ვანყობ მარადმწვანე მცენარეები. მერიში მიწვეს ნერგებზე სიარული. ყველგან ვანყვები ბიუროკრატიას. ნაცვლად იმისა, რომ ხელს მიწყობდნენ, პირიქით, ხელს მიშლიან, თითქოს ჩემი პირადი საქმე იყოს. რაც შეეხება თქვენი ნიგნის დახასიათებას, ეს ერის ქეხაქინია, ღმერთმა გაგიმარჯოს. თუ გამოქვეყნებას გადაწყვეტ, ეს კარგი კალიგრაფიით დაწერე და უფრო გონივრული იქნება, თუ ამ ფორმატით და ამ ნაწერით გამოაქვეყნებენ.

„განგრენის კალაძის მალამო“ „გაჩეჩილაძის ნამალი“, დღესაც ასეა. ბატონი თამაზის ვაზის მაღალი მოსავლიანობის მნიშვნელოვანი წინადადება დღესაც განუხორციელებელია. ბედნიერია ერი, ვაზის ასეთი მაღალკვალიფიციური ადამიანი რომ ჰყავს, როგორც ბატონი თამაზია. გაჭირვებულმა ბავშვობამ მასში ვაზისა და შრომის დიდი სიყვარული ჩადო, რასაც მისი ცხოვრება აღმავლობისაკენ მიჰყავს. ვაზის, ყურძნის, ღვინის და მარნის სიყვარული ყველა ქართველში ღრმად უნდა იყოს ასახული. ბატონი თამაზი ამის ნათელი მაგალითია. ბატონი თამაზის სახით განგებამ საქართველოს და განსაკუთრებით კახელებს მოუვლინა ნიჭიერი კაცი, ნამეილი ქართველი, „ვაზისა და ღვინის პოეტი“.



გარდამეცვალა ბაბუა, შემდეგ ბებია. არც ადრე მაკლდა და არც მერე დამკლებია შიმშილი და სიცივე, სად მიღამდებოდა, იქ მითენდებოდა. ერთ ზაფხულს სოხუმში მატარებლის რუსმა გამცილებლებმა ორჯერ მესროლეს სასიკვდილოდ, გადავრჩი. ამის გარდა, კიდევ სამჯერ გადავურჩი სიკვდილს სხვადასხვა გარემოებაში. მიძინია თივის ზვინში, ჩალის ზვინში, ერთი ღამე ტყეში ხეზედაც გავათიე, რომ მგლებს არ შეეჭვამე. სკოლაში სწავლის დროს შეშას ტყიდან მხრით ვეზიდებოდი. ვცხოვრობდი ღარიბად. მე-6 კლასის მოსწავლე ვიყავი ვენახის მყნობა რომ ვისწავლე, ვაბრუნებდი მინას და ჩემ დამყნობელ ვენახს ვრგავდი. წყლის მომტანი არავინ იყო, არადა ბევრი მჭირდებოდა. მიწოდდა უმალესში ჩაბარება, მაგრამ ისეთ საქმეში ვაგები, გამოცდებ-

კარგი ქართველის და დიდად განათლებული კაცის ბატონ თამაზ ქვლივიძის დაწერილი „წუთისოფლის ნიგნი“ გვახედებს მწერლის ბავშვობის წლებში. როდესაც ოჯახურ შრომაში ბავშვებიც იყვნენ ჩართულნი. დიხს, როდესაც აღნიშნულ ნიგნს ვკითხულობდი, თვალწინ ჩემი გაჭირვებული ბავშვობის წლები გამახსენდა და კითხვის დროს თვალზე ცრემლი არ შემშრობია.


ისიც გულსატკეპია, რომ ეს ნიჭიერი კაცი მევენახე, თავისი ნიჭის რეალიზაციას ვერ ახდენდა და დღესაც ვერ ახდენს, უნიჭო და ბიუროკრატიულ ხელმძღვანელობაში. ასე იყო

სოფელში დაბადებულ და ვაზთან გაზრდილ ამ კაცში ღრმა ნიჭიც ჩადო, როგორ აემდერებინა საქართველოს მოტივზე. ვაზის, ღვინის, მარნის ყველა სიკეთე, რაც ვაზთან არის დაკავშირებული, ჩემს ცხოვრებაში პირველად ვკითხულობ ვაზსა და მის ყველა სიკეთეზე „ვეფხისტყაოსნის“ მოტივზე დაწერილ ლექსს.

შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილესთან დაწერილი 800 სტროფიანი ლექსი ბატონ თამაზის ნიჭის გაბრწყინებაა.

ბარაქალა, მის ნიჭს, მის ქართველობას. დიხს, ეს ნიგნი ყველა ოჯახში უნდა იდოს როგორც რელიქვია, რომ ყველა კითხულობდეს.

შენმა ტანჯულმა ბავშვობამ ნიჭი გარგუნა ვაზისა გზად გელობება სიყვარული ბიუროკრატია ხალხისა. ვეფხისტყაოსნის მოტივზე ვაზი გალექსე, კახელო, შენი პატარა პოემა ყველა ოჯახში დადე-თქო.



თენგიზ ლომსიანიძე



მანანა ზორიძე

თუ დეკემბერის მოგეძალა ფიქრები ცივი, არ შეიმჩნიო, გაილიმე, თბილად დაუთმე! საოცარია დეკემბერის მზის კისკისა სხივი, სულში ჩაძვრება, კარი გაუღე-გული გაითბე!

და ნუ გგონია, დეკემბერს უყვარს სიცივე, სუსხი, -არა ძვირფასო, დეკემბერი საოცარია! დეკემბერს უყვარს სიყვარული ფიქრებით - უტყვივით, თუკი მითობზე, სიცივისთვის სულ არ სცალია.

იდუმალის არის დეკემბერი, ბრწყინვალე შობის, სანინდარი. მოდი დავახვედროთ ბევრი ფერი! ტკბილი გვისახსოვროს კალენდარი!



ნური ლობჯანიძე

ჯორსამეთის სერებიდან, აფრენილო თეთრო მტრედო, დაბლა მინდვრებს გადუფრინე, რომ მშვიდობა დაგვიბედო.

ბარბარობის სისხამ დილას, ქარს გაჰყვები ნარნარ-ნარნარ და პერევეში შეისვენებ, მერე ნახვალ ნახავ ქარძმანს.

მტრის ჯინაზე ინავარდებ, გულს მოგვიღობო შენი ცქერით, შენ საზღვარი არ გაშინებს, გელის ზევით თედელეთიც.

სინაგურზე, ჯალაბეთში, ჩვენც გვივლია უნინ, ერთ დროს, მოგვივლია ოსთან ერთად, ხინამთა და ნონა, ერნო...

ჯავის ლუდი გაგვისინჯავს, და კამკამა ბაგიათაც, ეხლა ძმობა მოგვიშალეს, ოსი უცებ გადიდაცადა.

მხოლოდ სხვისი იმედი აქვს, სხვისი მოსავს ჩიხტი-კოპი, ჩვენს მინაზე მოსულ სტუმარს, გაუშლია საფირონი.

უნდა კვალი ნაგვიშალონ, მარიამის გვფარავს კალთა, შენ კი მტრედო ინავარდე, გადუფრინე აღმართს, დაღმართს.


რომ მშვიდობა დაგვიბედო, ერთობისკენ ჩვენც ვქნათ გეზი, ამიყვავო იქნებ ღმერთო, მინა-წყალი შენიც, ჩემიც!

ეხლა უშენობას, ღვინო დამაფინყებს, მერე არაფერი, აღარ გამაგიჟებს. ბახუსს მივენდობი, ისე უნებურად, ვიტყვი მიცხოვრია, თურმე მე შეფურად. ფიქრად ავიშლები, ყველგან გავიხედავ, მთას მთას შემოვსტყორცნი, სიტყვას ვაგვიბედავ. გულსაც ბაგაბუგი, ისე დაემჩნევა, ლამის ამოვარდეს, უცებ საგულედან.

ციდან მომივლიან, ჩემი ანგელოზნი, ისე დამამშვიდეს, ვითომც არ ველოდი. სითბო, სათნოება, გზაზე დამიხვედბა, ნარსული, მოსანატრებელი აღარ გამიხდება. ცხოვრების კიბეზე, ავდივარ, ჩავდივარ, ხან ღმირიანი, ხანაც კი დარდი ვარ. მოვიმკე რაც ვთესე, სხვა არც მინატრია, ღმერთი ჩემთანაა, ესეც მიხარია. სიკეთე ყოველთვის, ნინ არ დაგიხვედბა, მაგრამ არა უშავს, სურვილი აგიხდება. ვინც ხელს გკრავს, იმასაც ბოროტად არ ავნი, მთავარი სულია და მისი საღარო. ეხლა, უშენობას მივენდო ჯობია, ხალხის ხმას არ აჰყვე, აქ ბევრი ჯოგია.

დეკემბერია, მთებს ნისლი აწევს, და მარტოობის ვიტან ორგიას, ჩამოილევა ფიფქებად ღამე და ამბავს შენსას, თოვლი მომიტანს. ვერ მიპოვია, ისეც დავეძებ, უმისამართოდ დაკარგულ წამებს, ეს ცხოვრება ხომ ხაფანგი არის, არ იცი როდის დაგიგებს მახეს. ვგრძნობ, ვერ ავყევი ცხოვრების ფერხულს, მე ხომ ისევე, ნარსულში დავრჩი, ჯერ ვერ ვისწავლე ლალატი სხვისი და ამიტომაც ვერც ფლიდი გავხდი. გული გაჩუქე, შენ ვერ შეხედე, ისე დაზამთრდა, ვერ მომიარე, ეხლა ამ გულში სანთელად იწვი, და ამ ზამთარში ვარ მგლოვიარე! გაზაფხულდება, გაიაპრილებს, ვიცი ოდესღაც მზე მოვა ჩემი, ლექსი რომ მტკივა, რა დამამშვიდებს, რა დამამშვიდებს, ამ ყიამეთში!

მამულო ჩემო, დედულო ჩემო, მე ხომ უშენოდ ვერ ვძლებ, დაბადებიდან ვალი მაქვს შენი, გადახდა ჯერ ვერ შევძელ. მიერთგულე და გზას დამაყენე, შენი მანოვე ძუძუ, ხან შენ მიმღერდი იავნანას და ხან მე გიმღერდი ურმულს. მაღლიან მინას ვეფერებოდი, ტყეს არ ვაკლებდი ალერსს, თუმცა ამით რას გადავიხდიდი, ვალი ხომ ბევრი მმართებს. არ გილალატე მე არც ბრძოლაში, თუმც იუდეები გვეყვანან, ოცდაათ ვერცხლის მოყვარულები, გულზე გასობენ ლახვარს!! სულის სიმდიდრეს ამ ქვეყანაზე, ვერც რა სიმდიდრე ნონის, ფსოუზე წყალი როდის დავლიო, ან წყალი ერნო-ნონის?!



ათო ბორბიძე

სიყვარულმა ასაკიო არ იყის

სიყვარულმა ასაკიო არ იცის, და არც წესებს ის არ ემორჩილება, ყმანვილივით გულსა აგიფრიალებს, თუნდაც იყო სულაც დინჯი ქმნილება.

სიყვარული მოვა, არ გეკითხება, შინაგანად შეგცვლის, გაგახალისებს, ილბიანებს ნეტარებას მოუტანს, უილბლოებს იქვე ტანჯვით ამინებს.

გაგიმართლებს? ცისარტყელას ფერებში გარდასახავს, შეცვლის იგი სამყაროს, სამომავლოდ ათასს გეგმას შეადგენ, წყვილთა შორის ნდობა რომ დაამყარო.

ძვირფასს გრზნობას თუ კი ერთხელ შეიგრძნობ, გაუფრთხილდი, არ დაკარგო იგი, სირთულეს თუ წაანყდები კავშირში, შეეცადე, რომ სულ იყო მშვიდი.

ეცადე, რომ მუდამ შეძლო გაგება, პატივი სცე შენი სატრფოს ხედვას, შენგან მოდის ყველაფერი იცოდე, მის სახეს რომ ბედნიერსა ხედავ.

სიყვარულის გრძნობით გაანებვირე, ნუ ეცდები პიროვნების შეცვლას, ის ისეთი შეიყვარე, მიიღე, შენი გული ორთავესთვის ფეთქავს.


ერთმანეთის მოსმენა და გაგება, სიყვარულში ძალზე უმთავრესია, ერთმანეთის დაფასება და ნდობა, სიყვარულში უმთავრესი წესია.



ნამო სანიკიძე

სიყვარული კი არ ცვივა ხიდან, მე მიყვარხარ ჩემი გულის მხრიდან. ერთხელ როცა დამიდექი გვერდით, მაშინ როცა მომიმართე ხელი, აბა როგორ არ გინოდო მეგობარი ჩემი, მინდა გულთი გაგიწოდო მეგობრის ხელი.

მე პოეტი არა ვარ და არც მწერლის შვილი, ლექსსაც ისე ჩამოგიწერ როგორც მათი შვილი, დასავლეთის(გურია) მხრიდანა ვარ სანიკიძის გვარისშვილი. ჩემი გულის პოეტიც ვარ ჩემი თავის მწერალიც, - ჩემი თავის დიპლომი და ჩემი წარმომადგენელიც. - არც არავისა ვედრები, არც მინდა ვინმეს ვედარო, ყველა მიყვარს და სულ ყველამ მის ცხოვრებაში იხაროს. მაღლა ვენდობი ღმერთსა და მისთვის მინთია სანთელი, ყველგან ყოველთვის საჯაროდ მითქვამს საჭირო სიტყვა სათქმელი. ცხოვრებაც დიდი ბრძოლაა, თუ დავეცემი ავდგები, ყავარჯნებითაც ვიბრძოლებ და სიცოცხლისა ბოლომდე სიყვარულითა ვიცხოვრებ, ამ ქვეყანაზეც სიკეთით დავალ და როცა ღმერთი ინებებს საფლავშიაც კი ღმილით ჩავალ.



ნათია კაკანაია

კოლხი ქალი

მე კოლხი ქალი ვარ, ამაყი, თავნება!
ჩემს გულში სამშობლო არასდროს მთავრდება!
მე გული მივცე, ყველაფერს, რაც მიყვარს,
ვერ დავთმობ სამშობლოს, ჰაერს და ჩემს მინას!

მუჭებით დაყრილი არ არის სამყოფი,
მინის და ფესვების არა ვარ გამყოფი!
ვერავის დავუთმობ ჩემს ენას, ჩემს რწმენას!
სხვა კი ყველაფერი წაიღეთ, ნუ მთელავს.

აქ ქოხში გაზრდილა ძველი ქართველები,
წინაპარს მე ჩემსას კვლავ მოვეფარები.
დღემდე რომ მოვიდა, ეს ქოხი ფიცრული-
ეს მინა ოდითგან, სისხლით აქვთ მორწყული.

ჩემს შვილებს ვაბარებ, წინაპრის ნაქონებს,
არ მინდა, ეს ვერცხლის ხანჯალი დაობდეს...
საზღვრების გადაღმა, შორეთში ცხოვრობდეს-
შვილები სახლსა და სამშობლოს ტოვებდეს.

ემრავლოს ამ ქოხის ფუძეს და მოყვარეს,
შვილები ამრავლონ, უფალი უყვარდეს.
სამშობლოს შვილები უზარდონ ქართულად,
წინაპრებს ლოცავდნენ, ისევ იმერულად.

ჩემს შვილებს ვუტოვებ, ანდერძად ამ მამულს,
მტერი არ ახარონ, მინა არ ასხვისოს...
წაიღეთ ყოველი არაფრად მიღირან,
არა ვარ ძვირფასი, არაფრად არ ვლირვარ.

მე მარტო უფლის და სამშობლოს მონა ვარ!
არ მიყვარს უღირსი, არასდროს მარგიხარ...
ჩემს შვილში წინაპრის ქართული სისხლია,
სამშობლოს მცველებად ვაჟები მიზრდია!

ივკლებს ყოველი

სიჩუმე სავსეა, ზეცამდე ასული,
გრძობების ტკივილი საშველად, წყალზეა ჩასული.
მწყურვალის სიმართლე წყაროდან, პეშვებით შეასმევს-
საგულეს გვალვისგან გამომშრალს, წვეთებით შეავსებს.

თავს ვერ უშველი, არსად ჩანს საშველი, იშორე ორგული...
გასიპულ გულიდან ღიმილით გიყურებს აესული.
იფლიან ქუჩაში ნაქცეულს, გაყიდულს ვერცხლებით,
დაძრწოდა ამაყად უტყინო, ძლიერი პატრონით.

გაყინულ თვლებით, მზეც ვეღარ ათბობდა საშველად.
სიცვიის ჭამია, სიკეთეს გითვლიან ბრიყვობად.
სამშობლო მიყვარსო, სიყალბის ნიღბით იტყვიან...
სიტყვა თუ უბრუნე, მიხვდები - მინიდან ნაგშლიან.

ყინვაში სიკეთის მზე ფარულად, მალულად გაგათბობს.
უჩუმად გვერდს გიდგას, გაოცებს, გაფასებს, გაგალობს.
არავის გადარებს, ერთგულად უყვარხარ, გაგიტანს, დაგიცავს,
რაც უნდა გესროლოს, ტალახი ვილაცამ, გაგწმინდავს.

იცვლება ბუნება, ჰაერი, დროა წარმავალი...
წაღეკავს ნიაღვარს, ტალახსაც ჩარეცხავს მართალი.
ინათებს სინათლე, ბნელიდან გამოვა ნათელი-
სავალ გზას უნათებს უფალი, კელაპტრის სანთელი.

მეფეებს ბეჭდებზე ეწერათ-
„იცვლება ყოველი“!
ღარიბ კაცს იმედი აცოცხლებს-
ძლიერი უფალი!

გოგო შვილი

(ედღენება მამაჩემს - ხუთი გოგოს მამას...)

მინდა მუდამ ამაყობდეს მამა ჩემით,
გოგოაო, არ დარდობდეს ისიც ამით...
გოგო შვილი თუ არ არის ვილაცხისთვის,
გამატარეთ...არ ვარ მისი მხარდაჭერის.

დიდი ხნის წინ ქალი იყო - თამარ მეფე,
ქალი იყო - წამებული ქეთევანიც...
მრავალ ქალთა საგმირონი საქმე დღესაც-
ის კვლავ რჩება, ოჯახების მარჩენილადაც.

ვინა სთქვა, რომ ვერ შეიძლებს, ის ქალია,
მას აშინებს ძნელი საქმე, მტირალია...
რა საქმეა, ქალი რასაც ვერ აიტანს,
სამშობლოს და ოჯახს ქალი კვლავ გაიტანს.

თუ ჰგონია ვინმეს, მწარედ დაძაბუნდა,
ალარ არის ის ქალები, ის ლეგენდა...
მწარედ ცდება, ქალი თითქოს უძღურია,
მტერს კი არა, დათვსაც გზაზედ გახვედრია.

ქართველ ქალის თავდადება ძლიერია!
რწმენის გზაზედ ბევრი ცრემლი უწმენდია.
სულ იყო და სულ იქნება ქვეყანაზე-
სულიერად შვილების ზრდა ყველა ქალზე.

მშობლის ვალის მოხდა, რა ძნელია,
თავს არ დავდებ, ვიცი მეტი შემძლებია...
მინდა მამა ჩემით მუდამ ამაყობდეს!
გოგოაო, არასოდეს არ დარდობდეს!

სახალხო ნატყრა

გამთენიისას ჩამძინებია,
ნატყრა სიზმრებად დამსიზმრებია.
მზეო ამოდი, ყველა გაათბე
და სიყვარულით გული გაულღვე.

ავიწყე ცრემლი, ძველი იარა,
თუ გულზე მწარედ გადაუარა.
სხივო, ჩამჭიდე თბილი ხელები,
მე შენთან მინდა, ვერ მოგშორდები.

ბევრი არა მაქვს, ახალ წლის ნატყრად,
უფალო ერთს გთხოვ, ყველაზე მეტად:
ქართველს ერთურთის გააგებინე-
მამული ჩვენი აგვილორძინე!

შარავანდელით ისევ ადიდე,
ყველა ოჯახში, ქვეყნად მოჰფინე.
აქ გამრავლება და სიხალისე-
ჩვენსა ქვეყანას, ჩვენს ერს მოჰმადლე!

გამარჯვებები ბევრი მახარე,
ბევრი მდომია, ერთი ვითხოვე...
უფლის წინაშე ბევრჯერ ვცოცხვლობთ,
ქართული გენი მინდა ვაჯიშოთ!

ამდენ შეტევით არ გადავგვარდე,
რწმენა გვინახე, შვილი გვიმრავლე.
ჩვენი სამშობლო კვლავ გამიბრწყინე-
ქართველთა მოდგმა გადაამირჩინე!

მიტოვებული სახლები

მოუწყენიათ სოფლად ძველ სახლებს,
ჩაუშხვრევიათ მინები ქარებს.
ხის შუშაბანდი მიტოვებული-
მონატრებია მისი წარსული.

დრო იყო სახლი მხიარულობდა,
შვილები სანოლს არ ეტყოდა...
მოხუცი ბებო, აკეცილ კალთით,
ხილს ურიგებდა შვილებს ღიმილით.


დაცარიელდა ეზო, სახლები,
გადაკარგულან შორეთს შვილები...
დაუკეციათ კლიტით ჭიშკრები,
ბალახში კვდება აქ ვენახები.

ჭიშკართან მდგარი ბროწეულები,
პატრონს ნატრობენ დანატრულები...
ისევ დამჭკნარა ხეებზე ხილი,
ჩამოცვნილა ეზოში თხილი.

სახურავს უჭირს ძველი კრამიტი,
კერას დატოვებს ვინ მიაშიტი...
გადაბადულა კიბეს ბალახი,
ახალ სიცოცხლეს ელის ვენახი.

ხის კოჭებს უჭირს, ძირს დანეულა,
ბუხარი ისევ ვერ დანთებულა...
სიჩუმე მეფობს აქ ბევრ ეზოში,
ქარები დაჰქრის ისევ ახოში.

გულზე მესობა მე ეს სახლები,
ღმერთო, გვაშორე ნასახლარები!



დავით გვახია

საქართველოს ლაზირინთი

კვლავ ჯანმრთელობას ვუძღვენი ლექსი,
მოსჩქეფს იორი, არაგვი კვენესი,
დაჭრილებს გლოვობს დედა მთა-ბარი,
ნეტავ ვინ კვენესის, ხმა საით არის?

გაბმულა, ლამის ძახილთა კვენესა
და სიბნელეში, სროლის ხმა მესმა,
მას მიემატა, კვენესა მრავალი,
არ შველის დაჭრილს არა წამალი,

მოსჩქეფს არაგვი, მოღელავს მტკვარი,
მშველელი ხალხის, არავინ არის,
ინვის სანთელი, ბლავის მოზვერი,
საით მიიღწვის ეს ჩვენი ერი.

რას პირდებიან ქართულ მომავალს,
რას უპირებენ, მოხუცთ წარმავალთ
ნეტავ სად არის აკაკის ჩანგი,
მასზე ვამღეროთ, სიმართლის ჰანგი,

შენ ასე იტყვი: „დავლუპე მხარე,
დავლუპე ხალხი და არე-მარე,
სად, ქართველობით, ვცხოვრობდით დიდხანს,
ავყევი მე სხვის მოთქმას და მითქმას“

და შემოძულეს ვერ შემეყვარეს,
რა ვუკაცები წინ წავიმძღვარე,
ეკონომიკას ჩამოვარჩინე,
ჩემი ქვეყანა, ვეღარ ვარჩინე.

ფუი!.. სირცხვილო, რალამ დამლალა,
მე ავამღვრიე, წყალი ანკარა
და გაუჩინე, ყველა ქართველ კაცს,
გულში დარდი და თმაში ჭლარა.“

იმედის სხივი ეცემა მიჯნას
და საქართველო, წაღმა ტრილებს,
გაანადგურებს სხივი ორგულებს,
მათ ცუდ ზრახვებს და ყველა ტიალებს!

და ჩვენი მხარე, ედემის ფერი,
გულში იმ ზღაპრულ შუქებს ჩაიდგამს,
რომლითაც ივლის, მართალი სიტყვით,
მოგვეფერება, ყველას ჩავგვიკრავს!

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს

ჩემო ერთადერთო მშობლიურო მხარე,
აი, გავიღვიძე და მეც გამახარე,
მიამბე, რა ხდება შენს თავს ახალი,
როგორ გყავს ხალხი, შენით დამაშვრალი,

გააღე დარაბები ხმამალა შესძახე,
„მეც ვეროპა ვარ, იცით ჩემს შესახებ?
არ მოგწონთ ეს ჩემი კულტურა მალალი?
სხვა საქართველო კიდევ სად არის?“


ვერ ნახავთ ჩემნაირ ხალხსა და ზეგანსა,
თავთუხებს, მწვერვალებს, ვაზებს და მტევნებსა,
რა გინდათ არ ვიცი ან რითი მინუნებთ,
ღვინით ვარ განთქმული, თაფლით და წყლებითა,

თქვენ შემოგვიერთდით არ გეხვეწებითა,
მალე მიხილავთ სულ, რომ გავბრწყინდები,
აროს დავეცემი, აროს დავკნინდები,
მე მყავს ნიჭიერი, ხალხთა დიდი გუნდი,

ძველ წელთაღრიცხვიდან დღემდე არ გავხუნდი,
წმინდანთა მინა ვარ, ღმერთის წილნაყარი,
ბევრ ომგამოვლოლი და დღეს ან აღმდგარი,
გვერდში დამიდევით პატარა ბაჯალლოს

სხვამ არ დამიმონოს და ხელი არ მახლოს,
ძმურ ოჯახში მინდა წილები გავიყო,
მეც ვეროპა მერქვას და ძლიერი ვიყო!!!

მისი ხელოვნება უკვდავია



ის ჩვენს გვერდითაა და მე მასზე არ შემიძლია წარსულში საუბარი. ჩემს გონებაში ის დარჩება, სიცოცხლით სავსე, მომღიმარი ბიჭი.

ჩემი სტუდენტები შვილებით მიყვარს, ისინი ჩემი მეგობრები არიან; მე მათი გულშემატივარი ვარ, შეძლებისდაგვარად. ზაზა შეგნებულად ვერ გავაცილე უკანასკნელ გზაზე, რადგან ის ჩემში ისეთ ადამიანად დარჩენილიყო, როგორც ბოლოს ვახე, გამოცდაზე. ზაზამ და მისმა წარმოდგენილად შთაბეჭდავა, ღრმა და საინტერესო შემოქმედებამ აუცილებლად უნდა გააგრძელოს სიცოცხლე.

ოთარ ჩაკვეტაძე: ზაზა ჩუბინიძე უნიჭიერესი სტუდენტი იყო.

ასმათ ჯავახიშვილი პედაგოგი: ზაზა ჩემი საყვარელი მოწაფე იყო. როგორ კარგად მახსოვს მისი უმანკო თვალები, სანდომიანი სახე. არ ვიცი, რითი ვანუგეშო მისი ძმა, მშობლები და მეგობრები?! ნათელი მის სულს!

მადონა უჯმაჯურიძე: ჩვენი აკადემიის უნიჭიერესი სტუდენტის არაჩვეულებრივი გა-



მოფენა შედგა. სამწუხაროა, რომ ზაზა ვერ ესწრება, მაგრამ იმიერ საქართველოში, აუცილებლად მიუვიდოდა ამ გამოფენის ხილვით გამოწვეული ჩვენი აღფრთოვანება.



თინათინ კლდიაშვილი: მოხარული ვარ, რომ საზოგადოებამ იხილა ზაზა ჩუბინიძის ნამუშევრები. მე შვილი მყავს გარდაცვლილი და კარგად მესმის ზაზას ოჯახის ტრაგედია, მაგრამ მინდა ვანუგეშო ისინი - ზაზა ჩვენთან ერთად გრძნობს და ზეიმობს გამარჯვებას.

ყარამან ქუთათელაძე რექტორი: ძალიან სამწუხაროა, რომ ასეთი, ნიჭიერი ახალგაზ-

რდა გამოაკლდა ჩვენს საზოგადოებას. ის რაც მოასწრო, უკვე ძალიან მნიშვნელოვანია. ოჯახს და ახალგაზრდობას სამახსოვროდ დარჩება ეს გამოფენა და შესაძლებელია კიდევ ვიხილოთ სხვა სივრცეებში და გალერეებში.

ნოდარ ამამუკელი (სამხატვრო აკადემიის ვიცე-რექტორი): ზაზა არქიტექტურის ფაკულტეტზე სწავლობდა და მე არ ვიცოდი, თუ ის ასე კარგად ხატავდა. შთაბეჭდავი და ბევრის მთქმელი ნამუშევრები ჰქონია მას.

ზურაბ ქობალია



ლია წერილი:

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბატონ ირაკლი ლარიბაშვილს, საქართველოს პრეზიდენტ ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს


მოგახსენებთ, რომ გასული საუკუნის ბოლოს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კერძოდ, სოფელ კრწანისის მეზობლად შეიქმნა ახალი სოფელი — მთისძირი, — „ემედექს დაჩეხის“ ადგილზე.

აღნიშნული ახალი სოფლის პრობლემების მოგვარებაზე, წარსულში თავდაუზოგავად და მუხლჩაუხრელად მუშაობდნენ, ცოლ-ქმარი: ტუგუში ონიანი და ჟენო დადეშქელიანი — სოფელ მთისძირის მცხოვრებლები. ტუგუში ონიანი გახლდათ პროფესიით ინჟინერი, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი, ასევე, ინდოეთის სახელმწიფოს ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობაში წვლილის შემტანი. მან სოფელ მთისძირისათვის გააკეთა შემდეგი სასიკეთო

საქმეები: სასმელი წყლის პრობლემების მოგვარება, სოფლის სასაფლაო ადგილის შერჩევა და მთავრობისგან თანხმობის მოპოვება, თან ადგილის გადაცემა. ამ ყველაფერთან ერთად, მაქსიმალურად მოინდომა აღნიშნული სოფლისთვის, მთისძირის სასაფლაოს ტერიტორიაზე აეშენებინათ თამარ მეფის სახელობის მართლმადიდებლური (ქრისტიანული) ეკლესია. აღნიშნული საქმის გაკეთება, მან სიცოცხლეში ვერ მოასწრო. სამწუხაროდ, რამდენიმე წლის წინ ტუგუში ონიანი გარდაიცვალა. მის ამ ინიციატივას დღემდე მხარს უჭერენ სოფელ მთისძირის მოსახლეობა და სამხედრო-სასწავლო ცენტრის კრწანისის თანამშრომლები, სამხედრო მოსამსახურეები. ეს მართლაც, საღმრთო და დიდად მნიშვნელოვანი საქმეა.

უმორჩილესად გთხოვთ, დახმარებას სოფელ მთისძირის ეკლესიის აშენების საქმეში.

პატივისცემით და კეთილი სურვილებით: ტუგუში ონიანის მეუღლე — ჟენო დადეშქელიანი; მთელი მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხის საკეთილდღეოდ მლოცველი, მწერალი და იურისტი, სოფელ კრწანისის მკვიდრი იოვანე აბულაშვილი.



ტუგუში ონიანი

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე
555 596 050
აღმასრ. რედაქტორი: **ნათია გურგენიძე**
593 422 258
გამომცემელი: ა(ა)იპ „პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი“
ს/ს 402010587
ს/ს თბილისი ბანკი:
GE 94 TB7249236080100007

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727;
ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050;
ეკა მამუკაშვილი 599 944 592; კონსტანტინე გურგენიძე 592 777 181;
ნათია გურგენიძე 593 422 258; მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მებონია 591 320 705; გერმანე საზანოელი 593 022 913;
თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული რედაქტორი) 599 44 98 48;
ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ვებგვერდი: saxalxoganatleba.ge
ტელ: (032) 2 99 80 00; (032) 2 98 48 07

სახალხო განათლება+ N9 (4616)
27 დეკემბერი / 2023 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

ISSN 1987-9113



9 771987 911009